

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОЗБА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ. 50კ.; 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ც-დგმ ნო. 184 „დროებისა“ დირს 5 კაპეიკი.



გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კ., პირველზე 16 კ. სრულყოფილად გვერ-  
დი 25 მანათი; პირველი 50 კ. სტრიქონზე სტრიქონ-  
ებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-  
ლობაზედ.

თუ ხაზირება მოითხოვს, რედაქცია გააწვდის და შეამოკ-  
ლებს დასაბუჯად გამოცხადებულ წერილებს. დაუბუჯად წერ-  
ილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.,  
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

# „დროების“ ფასი სექტემბრის პირველიდან წლის დაბოლოებამდე 4 მანათი. სოფლის მასწავლე- ბელთათვის 3 მანათი.

## მინაური ქრონიკა

== ჩვენს ქვეყანაში ბევრი არიან ისეთი ექიმები, რომელთაც არაერთა-  
რი სპეციალური სწავლა არ მიუღიათ და რუსულისა «ინჩიკა» არ იციან, მაგ-  
რამ გარკვენი სწავლებათ—განსაკუთ-  
რებით მოტყეხილს, იარაღით დაჭრილს და სხვა და სხვა მუწუკებს კი კარგად არჩენენ, ისე კარგად, რომ თვით სპეციალურად განათლებულს ექიმე-  
ბსაც კი იმედი დაუკარგავთ და ხელი აუღიანთ. შრთი ამისთანა ექიმი, როგორც გვერენ, ხევი-  
აც გამოჩენილა, რომელსაც დღე-  
ვანდლამდის 160 სულამდე გაუნთა-  
ვისუფლებია გარეგანი სწავლებისა-  
გან. მაგრამ რადგანაც ეს ექიმი დღე-  
ვანდლამდის მმართველობის შიშით ცხა-  
დად ვერ ექიმობდა, ამისათვის რამ-  
დენსამე სოფელს ყრილობა მოუხდენ-  
იათ და გადაუწყვეტიათ სთხოვონ ვისიც ვერ არს მიეცეს. ნება ხსენე-  
ბულის ექიმს ცხადად და დაუფარავად იექიმოს.

== დღემდის საუკეთესო ისტორიად საქართველოსა ითვლება ბარათაშვი-  
ლის ისტორია რუსულს ენაზე შედ-  
გნილი სამს რვეულად. ამას წინა-  
დენ ვაცნობთ მკითხველებს, რომ ეს ისტორია ითარგმნება ქართულს ენა-  
ზე-თქო. ამ ქაშად ბნი მურიე შეს-  
დგომია ბარათაშვილის ისტორიის ფრანკუზულს ენაზეც თარგმნას. სა-  
ქართველოს ისტორიისა ბევრი წყა-  
როები დაუტევა განსვენებულმა ბროს-  
სემ ფრანკუზულს ენაზე, მაგრამ ეს წყაროები განვითარებულს ევროპიელს საქართველოს ისტორიის ყოველ-  
მხრივად გაცნობის მოწადინეს, ვერ დაკმაყოფილებენ. ბროსეს შრომა უფრო მეტნიერულია; ბარათაშვილის პოპულიარული ისტორია საქარ-  
თველოსა შედგენილია მარტივისა და ნამდვილის ცნობებით საქართველოს ყოფა ცხოვრებისა. ის არის უმთავრე-  
სი მიზეზი, რომ ბარათაშვილის ისტო-  
რიას დღეს ვეღარსად იშოვნით გა-  
სასყიდად.  
იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგა-  
დოება ხელს შეუწყობს ბ. მურიესა-

გან გამოწყებულს სასარგებლო საქმეს, მატერიალურს საშუალებას აღმოუ-  
ჩენს ამ პატიოსან უცხოელს, რომე-  
ლიც ამდენს შრომობს ჩვენის ქვეყ-  
ნისათვის. ბ. მურიე კარგს გამოცე-  
მას გვირდება, ამას კი კარგი ფული დასჭირდება და ამიტომაც მას აქე-  
დამვე გაუმართავს ხელის-მოწერა.  
== საგარეჯოდამ გვერენ შემდეგ ამბავს: იქ ამოურჩევიათ მამასახლი-  
სად ფერშლის შკოლაში ნამყოფი და მათივე ნამწერლარი პირი, რომე-  
ლიც ამას წინა-დ ყრილობის წინაშე იდგა «პინჯაკით» ჩაცმული და აი როგორ სთინთლავდა ხალხს:  
მე «ჩესტინა» და «ნასწაველი» კაცი ვარ, ქრთამს ვერ ავიღებ და ენლავ უნდა ვადასკრათ, რას რაში მომცემთ, რომ თქვენი განაჩენის ძალით წა-  
გართოთ გინდ სუდის წესითაო. სუ-  
დის წესი» ამისი სულის ბაიათია მითონვე წარადგინა აცა ბაცურ მეტ-  
ყველობით, რომ ყველა «დოვერენ-  
ოსტის» დამტკიცებაში მანათი მომე-  
ციოთ, ყველა თუმანზე «ლისტის» შესრულების დროს ათი შაურიო—  
მერე სამწერლოს ათ თუმანს რომ მაძლევდით, ისევე მომეციოთ, თორემ მე რუსულად აღარას დაგიწერთ და ისეთ მწერალს დაგაჭერინებთ რომ, ოცდა ათი თუმანი მოგთხოვოთო —  
ბოლოს ხალხს სთხოვა: ერთი საწის-

ქვილე ადგილი მომეციოთ, საცა მსურს წისქვილს ვავაყებო და თქვენთვის თავს დავდებო ხალხი გარეტიანებუ-  
ლი იდგა და თუ რამდენიმე გონიერს პირს არ ვადელო მეორე ყრილობის-  
თვის ამის შესახებ მოლაპარაკება, —ეს ვაჭბატონი უსათუოდ ხელში იგდებ-  
და ორას თუმანად ღირეულ საწისქვი-  
ლეს, ხალხის ჯანითვე გააშენებდა მას და ლატაკიადამ «ყლაპიდა» გადაიქ-  
ცეოდა.  
== შოსტის გამცარცველების შე-  
სახებ ხევიდამ გვერენ შემდეგ: «გუ-  
შინ სალამოზე შაზბეგის სტანციაში ყოფნის დროს ბ ნს ლუშეთის მაზრის უფროსს წარუდგინეს ორი გველეთე-  
ლი ქისტის სახელდ.ზბრ: ბაისოლთან ბაზიკოვი და მურთუზ ოზიევი, რომელთაც ბრალდებათ ამ დღებში მბილისისა და მცხეთის შუა ფოსტის თავს-დასხმა და 600 მანათის წაღება. ზემოდ ნათქვამის ქისტების დაჭერა ამ ნაირად მომხდარა:  
ბ-ნის მაზრის უფროსისაგან მომხ-  
დარი განკარგულებისა გამო, შაზბე-  
გის ფოსტის ურიადნიკს შაქრო შაზ-  
ბეგს, სოფ. ძარკუჩისა და ბუდან-  
მაყრის შუა მდებარე მთაზე გზები ჰქონდა შეკრული, სადაც იყენენ და-  
ყენებული ყარაულებად სოფ. ძარკუ-  
ჩის მცხოვრებთაგანნი სახელდობრ: იაკობ (ძორა) და მანო შამარაულები,  
ხანს გავხდი თვრამეტის წლისა, უპა-  
სუხე მე რალაც იღუმალის ძალ-დატა-  
ნებით.  
— აი, სწორედ! მეც აგრე ვფიქ-  
რობდი, რომ თქვენ თვრამეტის წლი-  
სა ხართ! მაშ შეიტყეთ და იცოდეთ, რომ მე მისის შერი ვარ, დედა-შენი.  
— დედა-ჩემი! მე მგონია თქვენ სრულს კკუზზე არა ხართ!—როგორა ბედდეთ შეურაცხყოთ სახელი იმ კა-  
ცისა, რომელმაც ეს არის ეხლა გა-  
ნუტევა სული? დედა-ჩემი! ის ხომ რამდენი წელიწადია მკვდარია, ასე რომ მე ის სრულიად არც კი მახ-  
სოვს.  
— მკვდარია? აი, სისულელე! მე ჩავაგონა შენ, უთუოდ ამ ლამაზმა მაღალმა ქალბატონმა, რომელსაც აქ ჩემი ადგილი ექირა. მაგრამ ახლა ჩე-  
მი ჯერია. მე მამი-შენის ქერიე ვარ, და რაც იმის სიკვდილის შემდეგ დარ-  
ჩა კანონით მე მეკუთნის და იმას აქედგან დაუყოვნებლვე ვავადებ.  
— სტყუოთ! შევეყიერე, მე მოთმი-  
ნებიდან გამოსულმა.  
მს ვალეკებული, დაღუპული არსე-  
ბა ბედდვა დედა-ჩემობა დაერქვა, მა-  
შინ როდესაც მე მტკიცედ დარწმუ-  
ნებული ვიყავ, რომ ის დიდი ხანია ცოცხლალი აღარ იყო, ამ გვარი აზ-

## ჯგა


მოთხრობა ფ. მერიეჭისა.  
(დასასრული \*)

სინამ ყველა გათავდებოდა, ჩვენი ბედი გარდასწყდა თავის-თავად.  
მს მოხდა დასაფლავების წინა დღეს. შემდეგ სამწუხარო ცერემონიისა, რო-  
დესაც მამი-ჩემის თუჯის კუბო ჩვენ თვალ-წინ დააკოწიწეს, ჩემს ოთანში წაველ დასასვენებლად. უცებ მომეს-  
მა ეზოში შემოსული ეკიპაჟის ხმა. ცნობის მოყვარულობით გარდავიხედე ფანჯრიდამ, ფარდას ამოფარებული, იმისათვის რომ დასაფლავების დღეს არაფის მოხელას არ მოველოდი.  
ძირის ეტლი, დატვირთული ყოველი ნაყარ-ნუყარით, დასდგა შემოსავალ კა-  
რებთან და იქიდან გადმოვიდა ჩემდა გასაოცებლად ისევე ის დედა-კაცი წი-  
თურის სახისა, რომელიც შემხვდა ამ ორის წლის წინად ჩვენ სასტუმ-  
როში. მაშინვე განვიზრახე — იგი სახლ-  
ში არ შემომეშვა, რაც უნდა მახლო-  
ბელი ნათესავი ყოფილიყო დედი-ჩე-  
მისა. არავის არა ჰქონდა უფლება მოურიდებლად შეეწუხებინა ისეც დარ-

დისაგან შეწუხებული ქერიე. მე სა-  
ჩქაროდ ჩამოველ კიბიდან და გარდა-  
ველობე მომსვლელს გზაზედ, კარებ-  
ში ჩავუღდექი.  
— მომიტყვეთ, ქალბატონო, ეუთ-  
ხარ მას:—მისის შერს არ შეუძლიან ეხლა სტუმრის მიღება. ჩვენ დიდი უბედურება შეგვემთხვა და...  
— თქვენი უბედურება ყველაფერი კარგადა მაქვს გაგებული. ბრიყულად სიტყვა ჩამომართვა სტუმარმა:—თუ ეს არ მომხდარიყო, აქ არ ვიქნე-  
ბოდი.  
— მისის შერს, რომ არ შეუძლიან თქვენი მიღება! განვიმეორე მე.  
— ნება მიბოძეთ გკითხოთ ვინ არის ეგ მისის შერ? შევამათებთ მიპასუხა უცნობმა დედა-კაცმა.  
— მისის შერ—დედა-ჩემია, ამპარ-  
ტავენებით ეუბასუხე მე,—და ნებას არ მოგცემთ შეაწუხოთ და აწყენინოთ რამე.  
— მართლა, ყმაწვილო კაცო! ძა-  
ლიან მიკვირს, რომ თქვენ თავს ნე-  
ბას აძლევთ ჩემთან მაგ გვარის კი-  
ლოთი ლაპარაკისას, მხოლოდ ეს უნდა გითხრათ, რომ ჩემი სახლის პატრო-  
ნი მე ვარ და გთხოვთ დაჩუმდეთ! შენ, ეი!—დაუყვირა მან მოახლევებს, რომელნიც გამოცვიდენ სამზარეულო-

დან დერეფანში ლაპარაკის ხმაზედ. რას უდგევართ პირდაღებულნი! უშე-  
ვლეთ კუჩერს აიტანონ ზვით ჩემი ჩე-  
მოდანები. მარდად! და უყურეთ არა დაიკარგოს-რა!  
მე ძალიან გამაშტერა იმისმა სი-  
ბრიყვემ.  
პირველში არ ვიცოდი, რა მეთქვა, მაგრამ როცა ამ საზიზღარმა პირმა გამოიარა ჩემ თვალ-წინ სასტუმროში, და მძიმედ დაეშვა საკუთარ მამი-ჩემის კრესლოში, მაშინ კი ვიცი ვინც იყო და საჭიროდ დაინახე მიმელო ჩემი ზომიერება ამისთანა თავხედობის და-  
სათრგუნად  
— მე სრულიად არ მესმის, რა საბუთით ითვისებთ ყოველისფერს, ეუთხარ მე.—მხოლოდ მისის შერი არის ამ სახლის პატრონი და...  
— ძალიან კარგი, ყმაწვილო კაცო! მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ მისის შერი მე ვარ!  
— მე არ შემიძლიან ეგ სისულე-  
ლე დაგეჯეროთ. მითონ თქვენც არ იცით, რას ლაპარაკობთ. დედა-ჩე-  
მი...  
— დედა-თქვენი! მოთხარით თუ ლმერ-  
თი გწამთ, რა გქვიანთ და რამდენი წლისა ხართ?  
— ჩარლს შერ მქვიან, და ენლა-

\*) იხილეთ «დროება» № 183.



რომელთაგან ღერობინდით ყურების დროს პირველს დაენახა ხსენებული ქისტები იქვე საყარაულო ადგილის მახლობლად მდებარე ტყეში. დანახვისე უმალ ერთის ქაზბეგისაკენ მიმავლის მგზავრის გვარად წილურის საშუალებით ეს ამბავი ხსენებულმა ყარაულებმა შეატყობინეს ურიადნიკს, ქაზბეგს, რომელმაც ზემოდ ნათქვამი ყარაულებით ერთად შევიდა ტყეში და დაიჭრა ზაზიკოვი და მზიევი.

საკვირველი ის არის, რომ თუმცა ხსენებულს ქისტებს იარაღი ჰქონათ, მაგრამ დაჭერის დროს სრულებით წინააღმდეგობა არ გაუწევიათ ურიადნიკისა და ყარაულებისათვის, თავის ნებით გაჩერებულან და დამორჩილდნენ.

ზაზიკოვსა და მზიევს მახრის უფროსთან წარდგენის დროს უარი უთქვამთ ხსენებულ ფოსტის დახვედრაში მონაწილეობის მიღებაზე და დაუმატებიათ, რომ იგინი იყენენ წასული ცხენების მოსაპარავად და არა ხსენებულისა ფოსტის გატეხვაში ანუ დახვედრაში მონაწილეობის მისაღებად.

ხევიდამვე გვწერენ, რომ იქ აქციზის ერთი მოხელეს მეტის-მეტის მუყაითობის გამო თავის მოქმედება წრეს გარედ გაჰყავს. ჰოველ დღე და ყოველ საათს «პროტოკოლს პროტოკოლზედა» უყენებს საწყალს მელუქნებს და უმიზნოდ აწიოკებსო მუყაითობა ძალიან კარგია, თუ მას მკირეოდენი სიმართლევც არის წინ მიუძღვის.

როგორც ეტყობა ავლაბრის რიყეზედ ბაზარი მალე გაიხსნება. სასწორები და სხვა საქირიება მეიდნისათვის ამ თვეში სრულიად მზად იქნება.

რი სწორედ უცნაური იყო და არ ვერწმუნებოდი. ამ დროს თავი მალა ავიღე და დაეინახე დედა-კაცი, რომელმაც შემოიტანა იმოდენი ნათელი და სიმხიარულე ჩვენს მიყრუებულს სახლში. ის იდგა კარის ბქეში, დამშვიდებული და ფერმკრთილი, როგორც მარმარილოს ქმნილება.

— ღედავ, განა ეს მართალია? შეეყვირე და მივეარდი მას.

— მართალია, ჩარლი, ჩემო ერთგულსო, კეთილსო შეილო! აფიქრდი და მოდი გონზედ. იკისრე ეს როგორც შეჭვერის კაცსა: ყოველივე რაც შენ გაიგონე, ნამდვილია!

— მაშ ეს... ეს დედა-კაცი იყო ცოლი მამი-ჩემისა?

— ღიად?

— თქვენ რაღა იყავით, დედავ? შევეყირე საშინლად აღელვებულმა.

— მე ვიყავი მხოლოდ დედა-კაცი, რომელიც მას უყვარდა! მიპასუხე მან თავ-დახრილმა. შენ არ უნდა მთელიდენ იმის კანონიერ ცოლად.

— მე მაინც ყოველთვის ისე პატივს ვცემთ თქვენ, როგორც დედას. თქვენ მთელი წელიწადები იყავით ერთ-გული მეგობარი მამი-ჩემისა, თქვენ დაიფარეთ იმის სიცოცხლე და გონე-

მალაქის მცხოვრებთა საჩივარი მაზედ, რომ შუაგულ ქალაქში მოსპეს ყოველ დღე სახმარებელ საზრდოს გაყიდვა, არ დარჩა ხმად მლაღდებლისად უდაბნოსა შინა. მალაქის გამგეობამ შეიწყნარა ეს საჩივარი და მოახდინა განკარგულება, რომ ქათმები, რძე და კვერცხი იყიდებოდეს თავად მუხრან-ბატონის სახლის ეზოში, რომელიც იარმუკაზეა. («ბაკვაზი»)

სამსახურისადმი გადამეტებულს სიბეჯითეს ხანდის-ხან გადამეტებული წინ-დაუხედაობა მოჰყვება ხოლმე.. ეს გვაფიქრებინა, სხვათა შორის, ერთმა გარემოებამ, რომელიც ჩვენს რკინის გზაზე მომხდარა: აგვისტოს ხუთმეტს ამ გზით მიმავალბულა ვინმე უცხოელი, ფრანკუზი, რომელიც გავილილ ადგილების სურათებს ხაზავდა თურმე თავის დაეთარში. ჭიურდამირის სტანციასზე რომ შეჩერდა მატარებელი, ახალ-გაზრდა მხატვარი ჩამოხტება და იღებს ამ სტანციის სურათს. რამდენიმე წამი იყო კიდე დარჩენილი მატარებლის დაძვრამდის, რომ ხსენებულს ახალ-გაზრდას მიუახლოვდებიან ქანდარმები, სთხოვენ დაეთარს და უცხადებენ, რომ, როგორც საექვო პირი, იგი დატუსაღებული იქნება. სტანციის ნაჩაღნიკისა და ზოგი სხვა მგზავრთა ყურადღებას მიიქცევს ამ უცხოელის გაჭირებული მდგომარეობა და რის ვი-ვაგლახით იხსნიან მას ქანდარმების ხელიდამ. («ბაკ. უწყ»)

«დროებას» კორესპონდენცია

სოფ. ალაიანი, (ზორის მაზრა) მაზაიაბაისთვის 24. სიციხისაგან დახ-

ბა და იყავით იმისი ნამდვილი ცოლი და ჩემი დედა.

ჩემი მღელვარება ცრემლით დაბოლოვდა. ღედა მოვიდა ჩემთან და ალერსით დამაწყო ხელები დახრილ თავზედ.

მაშინ მეორე დედა-კაცმა, რომლის არსებობა შეუძრწუნებლად არ შემიძლიან წარმოვიდგინო, ისარგებლა თავის მდგომარეობის უპირატესობით და დაიწყო შეურაცხება და ავად მოხსენება თავის მეტოქისა. იმის პირიდგან მომდინარეობდა იმისთანა სიტყვების ნაკადული, რომელნიც არასოდეს არ გამიგონია არც ერთი დედათ სქესის პირისაგან. იმან გამომამფიზლა და გონზედ მომიყვანა ამ უბედურობაში. ჩემს თვალ-წინ შეურაცხებას აყენებდენ ყველაზედ უძვირფასეს და მახლობელს არსებას.

— ბაჰუმიდით! დაუყვირე მე მალა-ლის ხმით.—მაცურავ რომ იყოთ თქვენ ჩემი ალალი დედა, მაშინაც არ მოგცემდით მაგ სიტყვების თქმის ნებას. თუ თქვენ კანონიერი ცოლი ხართ მამიჩემისა, რად დაუტყვეთ ჩვენი სახლი და სხვას დაუთმეთ აღესრულებინა თქვენი სულიერა მოვალეობანი?

— ჩემზედ უკეთ მაგას შეუძლიან

რუკულ დედა-მიწას ზედა პირი დახეთქილი აქვს, მაგრამ მიუხედავად ამ საშინელის სიტყვებისა, აქაური დაულაღვი შრომის შეიღნი—გლახობა— არად იმჩნევენ ამ თავარებას და ცეცხლივით არიან მოდებულნი სამუშევარს. მეტადრე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე აქაური დედა-კაცობა: თავ-დაუზოგველად უდგანან ქმრებს მხარში ყოველს სამუშევარზედ, და დაუცხრომელი შრომით აკარბებენ მამა-კაცებს. ამ რიგად სასჯელში გართულნი დედა-კაცები შორს არიან ცუდი-ზნეობისაგან და ეს სოფელი გადარჩენილია იმ. გონებით და ზნეობით გახრწნილებას, რომელსაც ჩვენში, ალაგ-ალაგ საუბედუროდ, სხვა-და-სხვა გარემოების წყალობით, დაუბუნდია. აქაურს გლახს იშვიათად ნახავთ რომელიმე სამსახულოში... «სულში», როგორც ესენი ეძახიან. სოფელი თითონა სწყვეტს სათემოდ ყოველსავე თვის ავ კარგინობას, და ეს არის კიდევაც, რომ ყოველიფერი თავისუფლად და უშიშრად აქვს დატოვებული. ხშირად მთელი დღე და ღამე სახლი დაუტეტელია და პატრონები სოფელს გარედ არიან სამუშევარში. მეზობელი მეზობლის საქმეს ისე ეკიდება, როგორც საკუთარს საქმეს.

სახნავე-სათესი და საბალახო სოფელს საერთო აქვს. სახნავე მიწები ამ საერთოთგან ყველას თავ-თავისათვის აქვს დაჩემებული. წელს აპრობენ სახნავე მიწების დასაბლვას (დაზომას), რომ ყველას თანასწორად, უმეტ-ნაკლებოდ ჰქონდესთ.

ჭურდობა აქ მოსპობილია; ხილიც რომ მოიპაროს ბავშვმა, მის ოჯახს დაარბევს სოფლის ამორჩეული თორმეტი კაცი, დანაკლისის შედარებით;

მაგის პასუხის მოცემა. მაგან კარგად იცის, რატომ აღარა მქონდა ამ სახლში ადგილი!

— მე სიცრუეა! უპასუხა დედამ მდებლად, სრულიად გაუჯავრებლად. მე არ დაეკრახავდი თქვენს საქციელს ჩარლის წინაშე, მაგრამ რადგანაც თქვენ ჰკიცხავთ ჯერეთ ისევე გაუცივებელ საფლავში მდებარე კაცს, ამისათვის მსურს გავამართლო იგი შეილის წინაშე. თქვენ დასტოვეთ თქვენი ქმარი და შეილი რამდენისამე წლის წინად, სინამ მე შეუთვისდებოდი მისტერ პერსა. თქვენ ღვთის ანაბრობაზე დასტოვეთ ჩარლი, როდესაც ის ნამცეცა ბავშვი იყო, მაგრამ თქვენმა ქმარმა თავის გულ კეთილობით ყველა მოგიტყვათ, რადგან თქვენ ევედრებოდით მას, რომ უკანვე მიედეთ. იმან ხელ-ახლად მიგიღოთ თავის სახლში, როგორც სახლის პატრონი და მშობელი, მაგრამ თქვენ მეორეთაც დასტოვეთ იგი, მრთელი თავის სიცოცხლე მარტოდ-მარტოს უნუგეშოდ უნდა გაეტარებინა შერცხვნილს, მაშინ როდესაც თქვენ... მაგრამ თითონ თქვენ შეგიძლიან ჩემზედ უკეთესათ უნაზოთ თქვენ შეილს, რა გვარად სცხოვრებდით იმის შემდეგ.

ნახევარი ამ დანარბევითგან წანახდენის პატრონებს ეძლევათ, უნახევარი კი ემატება სასოფლო-სამეურნეოებს, გადადებულს თანხას, რომელიც იხარჯება მაშინ, როდესაც ძალა-უნებურად მიდიან რომელიმე სასამართლოში სასოფლო საქმეებისათვის. ამ წესითვე ასრულებენ სამეველო წესდებულებასაც: მეველე იქერს ვისმეს საქონელს ანაში, ან ვენახში და აწყვეტინებს თორმეტს კაცს, რომელიც სწყვეტენ ხოლმე ორ-ზომას, ერთ ზომას (სრულიად წანახდენისას) აბარებენ დაზარალებულს და ერთ ზომას უმატებენ სასოფლოდ გადადებულ თანხას...

ღარიბს რომ საზრდო აკლდეს ეს მთელს სოფელს მიახნია სირცხვილად და ამისათვის სოფელი კვირა-უქმობით შეველის ღატაკებს და ქვრივ-ობლებს სამუშევარში; ამათი სურვალი ის არის, რომ ყველას ჰქონდეს საქმაო საზრდო...

აქ ფულით ვაჭრობა არ არის. სოფელს რაც სავაჭრო სჭირდება კირნახულზედ იცვლის ხოლმე. აქაური გლახობა, მხოლოდ ფოსტის გადასახადისთვის საჭიროებს ფულს და ძლიერაც უჭირსთ, რადგანაც აქ იმდენად არა იყიდებარა.


წლევანდელს სიციხან წელიწადს პურის მოსავალი გვარიანი იყო, მხოლოდ გვალვისაგან უმეტესი ნაწილი (მეტადრე ურწყავებში) მარცვალ-დაუსრულებელი იყო; სიმიდებიც გვარიანია და ვენახსაც შესანიშნავად ასხია... მაგრამ ზოგიერთ სიკეთესთან ამ სოფელს ავიცა აქვს: ბლახობის უმეტესი ნაწილი ისევე გამომთრილ მიწაში ცხოვრობს. მხოლოდ უმცირესი ნაწილი ამოდგრა და მიწაზე დადგეს სახლები; სასურველია, რომ ყველას

— მე მაინც ნამდვილი მისის ვერ ვარ, უპასუხა იმან:—ჩემმა ქმარმა არ დასტოვა ანდერძის წიგნი; იმის ცხოვრება მე მეკუთვნის, ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, წაიყვანოთ აქედან თქვენი გონიო და დაუყოვნებლად დასცალოთ ჩემი სახლი.

— ღედავ, ეს ხომ უღმერთობაა! ეს არ შეიძლება!

— ასე უნდა იყოს, ჩარლი, კანონის ძალით. მე წინათვე ვიცოდი და ველოდი ამას, სინამ დავთანხმდებოდი აქ დასახლებას და მამაშენთან შევერთებას. იმას არ უფიქრია ჩემი მოტყუება და ყოველთვის კეთილშობილურად მეტყეოდა. იგი დანაშაული არ არის, რომ ანდერძის დაწერა ვერ მოასწრო, სიკვდილის ჟამს სულ ამას ნანობდა და საფლავშიაც დარდათ ჩაჰყვა. მე მას უზომოდ ვუყვარდი, და ეს ჩემთვის სრულიად საკმაოა, რომ იგი სიკვდილამდის მაგონდებოდეს.

— მე არ მინდა დავიჯერო ვიღაც უცნობი პირის სიტყვები, თუ რომ დასამტკიცებელს საბუთებს არ დავინახავ, შევეყვირე მე.—ამ წამშივე გავგზავნი მლლევკი სტრიაფისთან. არ შემიძლიან მარტო დაგტოვოთ ამ საზიზლარ დედა-კაცთანა



მიებადოსთ ამათთვის და მოშორებოდნენ საშინელ ნოტიან ხვრელებს, რომლის ჰაერის ყლავით აღრე ეს პობათ სიცოცხლე... აიღვეც ეს არის მიზეზი რომ მთელს ალაიანის გზებზედ და მის ნაპირებზედ ნების ზეინები დგას, მთელი სოფელი სიმყარლიით არის მოცული, რაც ჰაერს ერთი ათად სწამლავს. შევეანაზედ რომ არსად იყოს სატყვიარი, ალაიანის უსუფთაობა მიიწ დაჰბადებს მას. წვიმის დროს წყალი აღარსად გადის და აქა-იქა შმორიან წუმვედ გროვდება, სანამ მზე არ ამოშრობს. თუმცა არა ერთჯერ იჩივლეს აქაურ ბოქოულ ბ. მარუმიძესთან ზაგიერთებმა, რომ სოფლისთვის ებრძანებინა ნების გაზიდვა, გზებისა და წყლის გასავალი რუების ამოწმენდა, მაგრამ ბოქოულს ჯერ არა ვითარი განკარგულება არ მოუხდენია, ვარდა ლიტონი დაპირებისა.

სოსიკო.

წერილი რედაქტორთან

ბ რედაქტორო!

დღეს მეორეთა ვკითხულობ თქვენს პატივცემულს გაზეთში (№ 169) რომ, ვითომც ჩემ-მიერ მონდობილს საფოსტო განყოფილებაში იმისთანა უწყსობა და არე-დარევა სუფუვდეს, რომა გაზეთებისა დაწერილების დაკარგვა ჩვეულებრივი მოვლენა იყოს. ეს ცხადი სიცრუეა და თქვენს კორესპონდენტს პირადის უკმაყოფილების გამო მსურს ჩირქი მოსცხოს იმ პირს, რომელიც არაფერში დანაშაული არ არის; სწორედ ამ პირადის უკმა-

— დასჩუმდი, ჩარლი, ეგ—შენი ალალი დედა.

— მე არა მსურს ვიწამო ეგ ჩემ დედათ, ვუპასუხესწრაფად.— მხოლოდ თქვენ იკავით ჩემი ნაპლევი დედა და ეს სიკვდილამდინ მესომება.

მისტერ მოსბერი, სტრიაფჩი, დაუყოფნებლად მოვიდა, მაგრამ იმას არ შეეძლო ჩემს სან უგეზოდ ეთქვა რამეს. საცოდავი მამა-ჩემი დღითი დღე აგვიანებდა თავის ანდერძის შეგნებას, და ბოლოს სნეულებამ იქამდინ მიიყვანა, რომ ანდერძის დაწერა აღარ შეეძლო; ამ სახით იმან დასტოვა თავის საკუთარი ქალი უსაზრდოვოდ და ის დედა-კაციც, რომელმაც უმსხვერპლა მის სიყვარულს თავის ნამუსი, სახელი და საუკეთესო დრო თავის სიცოცხლისა გაატარა განმარტობულ სოფლის სახლში, და მრთელი თავისი მზრუნველობა მის ოჯახს შესწირა, მაშინ როდესაც კანონიერი ცოლი, იმის ბედნიერების დამარტყველი, — ვალოთებული არსება, — იმის სიკვდილის შემდეგ შემოდიოდა ყოველი სარჩოს მფლობელ პატრონად და კანონის ძალით თხოულობდა თავის მემკვიდროებას! თავი მემკვიდრე, რასაკერეღია, მე ვიყავ, მაგრამ ჩემს საყვარელს დედას და ძვირფას დას

ყოფილებით აიხსენება « ლროების » 152 და 160 ნომერში დაბეჭდილი ჩემს შესახებ ცნობანი, რომ, ვითომც მე მ. ს. გაზეთებს არ ვაძლედე და წერილებსა უანგარიშოდ ვაკარგავდე... ეს ორივე ამბავი ცილის წამებაა. მე მხოლოდ ის მაკვირვებს, რომ მ. ს. სახელზედ გაზეთები ნამდვილად არ მოდის ჩემ-მიერ მონდობილს საფოსტო განყოფილებაში და თქვენ-კი სწერთ, რომ გაზეთი ბატონი მ. ს. წესისამებრ ეგზავნება და უწყსობა მხოლოდ ფოსტმეისტერს უნდა დაბრალდესო. ძარგად გამოიძიეთ, ბატონო რედაქტორო, მანდვე ეს საქმე და თუ თელავის საფოსტო განყოფილებაში მ. ს. სახელზედ თქვენი გაზეთი მოდის, მაშინ შესაბამი სასჯელი მომეცეს. ვგრეთვე ტყუილია უბრალო წერილების დაკარგვაც ნეტავი ერთი ისეთი ქრისტიანი ვინმე გამოჩნდეს, რომ ერთი წერილის დაკარგვის გაგალითი მიჩვენოს!

თელავის საფოსტო განყოფილების პრიომჩივი დიმიტრი მატუბელოვი.

აგვისტოს 11-ს ქ თელავი.

ხალხური პოეზია

(შეკრებილი სოსიკოსაგან)

შენი ქირიმე მქაღოვო, ლობიო შექამადოვო, სანამ შენ არ დაგინახეს — ძალი არავინ მანდოვო.

ლამის მებრეს ორი ალო ლამით ბნელში იარება, დღისის მებრეს ერთი ალო ხარის ქედზედ იარება.

მიოლეტას არა ჰქონდათ უფლება ლილიფილდსში დარჩენისა; ისინი ლეთისანაბრობაზე იყვნენ დარჩენილნი.

— ბანა, ვუთხარი მე სტრიაფჩის, — დედა ჩემი უნუგეზოდ უნდა გავიდეს ამ სახლიდამ?

— ან კი როგორღა შეიძლება მაგის აქ დარჩენა? მისის შერს აქეს უფლება გაიყვანოს აქედგან კანონით და უეჭველია ის არ მოერიდება ამის აღსრულებას.

დღეაჩემიც დაეთანხმა მისტერ მოსბერის; იმან არა ჩვეულებრივ მარდად ჩააღავა ბარგი. მისის შერი ბეჯითად ადვენებდა თვალს ამ ჩაღავებას, რადგანაც ეშინოდა არა ჩაელაგებინა-რა მას იმისთანა, რაც იმას არ ეკუთვნოდა.

— მზადა ხართ, ძვირფასო დედავ? მწუხარებით ვკითხე და გავიყვანე დერეფანში ხელი ხელს გაყრილი.

— მიმოდოვნებ, მისტერ ჩარლი, რომ თქვენ მალე დაბრუნდებით? დამიყვირა თავის განგმირავის ხმით მისის შერმა.

მე გავმეშდი. — დებრუნდეს? ნუ თუ ამ დედაკაცმა ეს აზრი იქონია, ნუ თუ ის ფიქ-

რა აცხონებს გუთნის დედას რა შეიყვანს საყდარშია — შავი კამბეჩების კოლეა უხვევია კალთაშია, მითონ იხნავს დარის დროსა მებრეს უხნავს აედარშია.

ღავით გარეჯის უღაბნო ბამოჭირილია კლდისაო, შიგა სწირავენ ბერები მაღიდებელი ლეთისაო; მათი მადლი შეგვეწიოს, მაღლობა რევეანტისაო (?)

ბიჭმა რა იცის გოგოსი, რას იმას უგდებს ყურსაო, შამოიჭირებს სარტყელსა — სამს დღეს არა სკამს პურსაო.

ბებერო ეგ შენი ჯარა ღაბერდა აღარ იჯარა. ადგა და კედელს მიარტყა, ნეტა ვინ გამოაჯარა?

შემოგებდავ ბროლსა პირსა, შარბი წერილად აგიყრია ცხრა ნაწნაევი გიშრის თმანი მხარ-ბეჭებზედ გადგიყრია

ძალო წითელი პერანგი ჩაუცმევია დედასა — სიცილი აღარ გიხდება: ბული მოუკლავს სევედასა.

ჭირიმე ვაჟიკაცისა საგონებელი ქალია! თევზისა ორაგულისა საცურებელი წყალია.

ნათლიამ ნათლი მამასა ბევრი რამ დასდო ვალები სულ დაუჭამა ცხვარ-ძროხა — წინ დაუყარა ძეალები.

რობდა, რომ შემეძლო იმის გვერდით ცხოვრება?

— ჩვენ ისე დიდხანს ვიყავით და შორებულნი, განაგრძო მან; — ახლა მამაშენი მოკვდა და შენს მეტი არავინა მყავს. რასაკერეღია, ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემი მემკვიდრეც შენ იქნები, ამისათვის ჩემთვის უმჯობესია დაევიწყოთ წარსული და მივანებოთ მედრებს განასვენონ საუკუნო ძილით. რას იტყვი ამაზედ, ჰა?

— მე თქვენი არაფერი მინდარა, ქალბატონო, ამპარტანებით ვუპასუხე მე; — თუ სახლი კანონით გვეკუთვნით, ისარგებლეთ ბედნიერებით!

— ჩარლი, ძვირფასო, წარმოიდგინე რას უარჰყოფ? წამიჩურჩულა დედამ.

— მე მხოლოდ შენ მახსოვხარ დედავ! — პა-პა-პა! აი ახალი ამბავი! მომავყირა მისის შერმა. — თქვენ მისტერ ჩარლს, დაგავიწყდათ, რომ თქვენი ნამდვილი დედა მე ვარ?

დღეაჩემის ხელი ხელიდამ არ გამიშვია.

— მე არა დამვიწყებია-რა, ქალბატონო, თუმცა ძალიანაც მსურს დავიწყება. მე მახსოვს, რომ აქ, ჩემს გვერდით, ზღვას დედა კაცი, რომელი-

ძალო რას ტირი რუსტინი რას დაგითხრია უფლებფრთხი ადევ და ჩემთან წამოდი, ბადმოიარე ბანები.

შენი ქირიმე ლამაზო — ქელი მოგიღერებია, ნეტავი შენის კოცნითა ბული გამაჯერებია.

ახლა შენ წადი ცხვარშია ქელ ლილიანო ქალაო, შერდობაზედ გადმოატარე მიდინოთ მხარ და მხარაო.

ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სასაგენტოსი“

აგვისტოს 25-ს.

მადრიდი. ფაჯიპეს კუნძულების გუბერნატორი აუწყებს, რომ ისპანიის სამხედრო გემებს მოსვლის უძაღვე უნდადთ კუნძული იავა დაეჭირათ; მაგრამ ამ დროს გერმანიის გემმა, რომელიც უფრო ადრე მოვიდა, გადასხა ნაზირზედ ხაღსი, რომელთაც კუნძულ იავაზედ გერმანიის დროშა გაშაღეს, თუმცა ისპანიელებმა წინააღმდეგობა გამოუჩინადაც.

გუშინ საღამოს, როდესაც მადრიდში შემოსხნებულეი ამბავი გაიგეს, ადევკებულმა ხაღსმა გერმანიის საელჩოდამ მოგვლიჯა ბაირადი და გერბი, ჯერ ქუჩებში ათრია ისინი და მერე შეიდანსუდ დასწვას. რამდენიმე კაცი დაატყუნდაც და დილით ხაღსის მღელგანება დაწყნარდა.

კადიქსის შროვინციაში გუშინ რესპუბლიკელებმა მოახდინეს დემონსტრაცია

საც უყვარდა ისინი, ვინც თქვენ მიატოვეთ, ზაუნავდა იმათთვის და გამხალა კაცი. ბანგიმეორებთ კვლად — ეს ნამდვილი ცოლია განსვენებულის მამიჩემისა და ჩემი ნამდვილი შობილი ლეთისა წინაშე; თუ ამათ შეერთება არ იყო ხალხისაგან ნაკურთხი, ლმერთი აკურთხებდა ამან დაგვიხსნა ჩვენ ორთავე ზნეობრივის სიკვდილისაგან და დაიმსახურა ჩემი შეილობრივი სიყვარული და ერთგულება.

ამ სიტყვებით გამოვედით მე და ჩემი ლილიფილდის ალაყაფის კარებიდამ და მტკიცედ განვიზრახე შემეწირა დედიჩემის და ჩემი პატარა დისთვის ყოველი ჩემი შრომა და ზრუნვა. ჩემი პირველი აზრი იყო მეზოვნა იმათთვის მყუდრო კუნძული, სადაც ამდენი უბედურების შემდეგ დასვენება შესძლებოდათ და გაეტარებინათ ჩემთან დანარჩენი თავის სიცოცხლის დღენი.

ნინო კრასოვისა.

ცია, რომელსაც მცხოვრებლებმა მტრულის თვალით შეხედეს.

აგვისტოს 24-ს.

პატივსაცემი. სამხედრო მინისტრი რამდენიმე ხნით გაემგზავრა საზღვარს-გარე სექციისად.

გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება განსაკუთრებული ნიშნების შემადგენელი იმ პირთათვის, რომელნიც რუსი უნივერსიტეტებში მიაღებენ მაგისტრისა, და ისტორიის ფილოლოგიის, ფიზიკა-მათემატიკის, იურიდიულის და სამედიცინო მეცნიერების ფაკულტეტის დოქტორის ხარისხს. დოქტორის ნიშანი აქრისა იქმნება, ვეცხლის გვირგვინით და ასო დ—ით, და მაგისტრისა—ვეცხლის, აქრის გვირგვინით და ასო მ—ით.

პარლიზი, ინგლისში. ესპანიაში მოსულს გემზე აწიას ხოლოდით მოკვდა ერთი მოსამსახურე. გემი გასწვინდა და კარანტინში ჩაყენეს.

ალექსანდრია. ფრანგულად გაზ. «Bosphore Egyptein» ინგლისელების გაკაცვას გამო აღკრძალულ იქმნა, საფრანგეთის დიპლომატიურ აგენტის წინადადებით.

აგვისტოს 25-ს.

კოპენჰაგენი. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, სელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა გუშინაშუადღევს მობრძანდნენ აქ. დანიისა და ელსთა მეფენი და მეკვიდრე პრინცი დანიისა გამოეკებენ ამთნაპირსე გამოხვლისათხავე უაგვს-ტოეს სტუმართ მიეგებნენ. დანიის სამეფო გვარეულობის სხვა პირნი, მინისტრნი, რუსის ელჩი, წევრნი დიპლომატიურის კორპუსისა და სიმოქალაქო და სამხედრო-ნაწილთა უმაღლესნი პირნი; დიდ-ძალი ხალხი აღტაცებით დახვდა; ხომალდები ბარადებით იყვნენ მორთულნი. მათნა უდიდებულესობანი თავ-გადასდიდის ეტლით წაბრძანდნენ ყვავილ-ფარდებით მორთულს რკინის გზის სტანციისაკენ და იქიდან მსწრაფლად მატარებელით ფრედენსბორგს.

ნოვინი-ნოვოროდი. იარაღის ბაიარადება ჩამოსხნეს.

მადრიდი. სამხედრო და პოლიტიკური კლუბები ეხერგიულად აცხადებენ, რომ მკაცრი გადახედვას გერმანიას კორდონის კუნძულებზე თავისუფალ მოქმედებისათვის; ღებუკალური გასეთება-ვი პარ-და-პარ ამის გამოცხადებას ითხოვენ. არასი კაცი დაატუსადეს შაბათ საღამოს. ზოგიერთ გასეთების რედაქტორები სამართალში მისცეს. მმართველობა ფიცხელ განგარგულებას ახდენს, რომ არაფითარი დემონსტრაცია აღარ მოხდეს გერმანიის წინააღმდეგ. მინისტრების რჩევით მეფე აღფრხნი ყოველ დიპლომატიურ საშუალებას იხმარს, რომ

გერმანიასთან განსეთქილება არ მოუხდეს.

ბერლინი. ოფიციალური „ჩრდილ-გერმ. საზ. გაზეთი“ გაკვირვებულია მადრიდის არეულობით, რადგან კორდონის კუნძულებზე საქმის ატუსის შემდეგ ისეთი არა მომხდარა-რა, რასაც შეძლო ამ გვარი არეულობა გამოეწვიას. გაზეთი იმედობს, რომ თუ სხვა გზით არა—სასამართლოს გამოძიებით მინც აისხნება: ვინ არიან ისინი, რომელთაც ასეთი განსეთქილება ჩამოაგდეს ესპანიისა და გერმანიის შორის.

ბირჟა

Table with financial data including gold prices (23 3/4, 24 3/4), silver prices (203 1/2, 204 1/4), and various exchange rates for different currencies and goods.

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშვილი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ლამდამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

პიიმივი: არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. კორონა, სამშაბათობით და შაბათობით. მელიქ-ფარსადაგოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით. ბაბივი: ფილჩაქოვისა, სამშაბათობით. ბაბინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით. სტამბოლისა, ოთხშაბათობით და შაბათობით. ლოქოვისა, ხუთშაბათობით და კვირაობით. სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთა დასარსეს სასსკოვად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიაღებინ დილის 8 საათიდან 12 საათამდინ. ყოველ დღე მიადგენ ამ სამკურნა-

ლოში ავადმყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანი—8 საათიდან 9 საათამდინ სახუბო, საქაფლო და საბავაშო ავადმყოფობის; საწამლებად ბენკლევი—10—11 საათამდე—სახორბო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებად; შტემბოლსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრდელი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხორბო-გიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებად; გრანსკოვსკი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლქსონი კბილის ტკივილის საწამლებად მიიღებს თავის სასწამლო ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

მახანდა ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ღუქნებში და ხელდა-ხელ 16 მარიაშობისთილამ 1 ენკენისთემდე 1885 წ. გამოძენვარი შურა რუსეთის ფქვილისა — 1 კირ. 5 გ. აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — 1 გ. 2 1/2 მეორისა — 1 გ. 2 გ.

იმავე ფქვილისა თორნეში გამოძენვარი: პირველი ხარისხის — 1 გ. 4 1/2 მეორისა — 1 გ. 3 გ. მესამისა — 1 გ. 2 1/2 ჯვარის-ძამის შური: პირველის ხარის. ღავაში 1 გ. 4 1/2 მეორის ხარის. ღავაში 1 გ. 3 1/2 მესამისა — 1 გ. 3 გ. ძროხის ხორცი: პირველის ხარისხისა — 1 გ. 6 გ. მეორისა — 1 გ. 5 გ. სუკი — 1 გ. 13 გ. ცხვრის ხორცი — 1 გ. 7 გ. ღორის ხორცი: პირველის ხარისხისა — 1 გ. მეორისა — 1 გ.

განცხადებანი მანაქის სათავად-აზნაშრო სსწავ. ლეპლის ინსპექტორი ატხადებს მუთათის გუბერნიის და განსაკუთრებით მეგრელის თავად-აზნაშროთა საცნობლად, რომ 1885 წ. ენკენისთვისათვის I განყოფილებაში ოც-ცამეტი ვაკანსია იქნება, II მეორეში—ორი (2), III მესამეში—(4) ოთხი და IV მეოთხეში (15) თუთხმეტი. პირველ განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ, მეორის, მესამისა და მეოთხისათვის განყოფილებათა შესაუფრი ეგზამენი უნდა დაიკირონ; თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე აგვისტოს 20-დგან

29-მდის და ამასთანავე უაზნაშროთა ნონ წლოვანების განსაზღვრის მოწმობანი. თუ აზნაშრობის მოწმობანი არ ექნებათ, ბანკის მოწმობა მინც უნდა იქონიონ, რომ ყმაწვილის მშობელი (დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლება. სწავლა პირველ ენკენისთვეს დაიწყება, თუ მანამდის სახლი მოსრულდა.

ამა მდგომარე წლის საბანკო კრების გარდაწყვეტილებისამებრ, სასწავლებელი მთელი გუბერნიის თავად-აზნაშროთათვის არის დაფუძნებული და ვისთვისაც სამხროა, ყველას უფლება აქვს ამ სასწავლებელში შევილი შემოიყვანოს. (10—10)

ისქილვაბი სახლი სასკლმკვანელო წიგნი ქართული ქრისტოპატია უჭრას კლასებისთვის. შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი თოთხმეტი რუბრი.

შინაარსი: ა) პატარ-პატარა წერილები, ლექსები და იგაგები, ბ) ზღაპრები, გ) საქართველოს ცხოვრებინამ და ბუნებინამ (ჩრეული ადგილები ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწერებინამ), დ) საქართველოს ისტორიინამ.

წიგნი ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზინებში. ძალაქ გარედამ ენც ერთს ეკვმპლიარს დაიბარებს, გასაგზავნი ორი რუბრი უნდა დაუმატოს. მინც დაიბარებს არა ნაკლებ 10-სა, მას წიგნი დაეთმობა ცამეტ რუბრად, ხოლო გაგზავნის ხარჯი-კი მისი იქნება. (25—11)

ისყიდება დუქნავი და სარიული ადგილავი რომელნიც ეკუთვანდენ ივანე მინას მე მიწხოვეის მეკვიდრეთ ქ. თბილისში მიხაილოვის ხლზედ და მის ორივე გვერდებზედ, ერთად ანუ ნაწილ-ნაწილად და აგრეთვე სამ სართულიანი ქვითკირის სახლი ალექსანდროვის ბალის პირ-და-პირ, სადაც არის ენლა სასტუმრო «გრანდ-ოტელი».

Advertisement for 'PEPTONOVYI' (პეპტონოვი) chocolate, highlighting its nutritional value and availability in various pharmacies and confectioneries.